

M2M/IoT მომსახურებებისთვის ნუმერაციის რესურსის ცალკე გამოყოფის ან/და მისი გაზრდის საჭიროების შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების დოკუმენტის საჯარო განხილვა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში „კომუნიკაციების კომისია“) 2019 წლის 30 სექტემბერს გამოაქვეყნა საკონსულტაციო დოკუმენტი: „M2M/IoT მომსახურებებისთვის ნუმერაციის რესურსის ცალკე გამოყოფის ან/და მისი გაზრდის საჭიროების შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციები“.

დოკუმენტის გამოქვეყნების მიზანს წარმოადგენდა საქართველოში M2M (Machine-to-Machine – “მოწყობილობებს შორის კავშირი”) და IoT (Internet of Things – “საგანთა ინტერნეტი”) მომსახურებებისთვის ნუმერაციის რესურსის ცალკე გამოყოფის ან/და მისი გაზრდის საჭიროების შესახებ გაკეთებული შეფასებების გაზიარება დაინტერესებული მხარეებისთვის და მათი მოსაზრებების მიღება გარკვეულ საკითხებზე. დოკუმენტში დასმულ კითხვებზე პასუხების მიღების ვადა იყო 2019 წლის 22 ოქტომბერი.

დოკუმენტს გამოეხმაურა მხოლოდ სს „სილქნეტი“. გთავაზობთ კომპანიის მიერ წამოწეულ საკითხებსა და კომუნიკაციების კომისიის პოზიციას:

1. არსებული M2M აბონენტების ახალ ნუმერაციის რესურსზე მიგრაცია რთულ პროცესს წარმოადგენს და განსაკუთრებულ პრობლემას შექმნის ისეთი ტიპის M2M მომხმარებლებისათვის, როგორებიც არიან, მაგალითად, ბანკები, სალარო აპარატების მიმწოდებლები, სატრანსპორტო კომპანიები და საპატრულო პოლიცია; შესაბამისად მივიჩნევთ, რომ ოპტიმალური მიდგომა იქნება, თუ ახალი M2M/IoT აბონენტების აყვანა განხორციელდება M2M/IoT მომსახურებისათვის განკუთვნილი ნუმერაციის ახალი რესურსის გამოყენებით, ხოლო არსებული M2M მომხმარებლების მომსახურება გაგრძელდება მათზე უკვე გაცემული სატელეფონო ნუმერაციის რესურსით; სს „სილქნეტის“ აზრით, ამგვარი მიდგომა საშუალოვადიან პერიოდში ბუნებრივად უზრუნველყოფს არსებული M2M მომხმარებლების ახალ ნუმერაციის რესურსზე მიგრაციას; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კომისია არ ეთანხმება სს „სილქნეტის“ ხედვას და გეგმავს, სავალდებულო გახადოს არსებული M2M მომხმარებლების ახალ ნუმერაციის რესურსზე გადაყვანა, მიგვაჩნია, რომ მიგრაციის ვადად უნდა განისაზღვროს მინიმუმ 5-წლიანი პერიოდი;

კომუნიკაციების კომისია მიიჩნევს, რომ M2M/IoT მომსახურების არსებული აბონენტებისთვის ნუმერაციის რესურსის შენარჩუნებით მივიღებთ, რომ ბაზარზე იქნებიან ამ მომსახურებების აბონენტები ორი სხვადასხვა ტიპის ნომრებით, რაც გამოიწვევს დაბრკოლებას, მათ შორის მომსახურებების აღრიცხვის, ანალიზის და ბაზრის კვლევის პროცესში და ამასთან, ბუნებრივი მიგრაციისთვის საჭირო დრო ბევრად გადააჭარბებს კომუნიკაციების კომისიის მიერ განსაზღვრულ გონივრულ

ვადას. შესაბამისად, განზრახვა, აღმოიფხვრას აღნიშნული პრობლემა, რასაც ემსახურება ინიცირებული ცვლილება, იქნება არაეფექტური. გამომდინარე აქედან, კომუნიკაციების კომისია არ იზიარებს მოსაზრებას M2M/IoT მომსახურების არსებულ აბონენტებს შეუნარჩუნდეთ ამ მომსახურებებისთვის ამჟამად გამოყენებული ნომრები და მხოლოდ ახალი აბონენტებისთვის მოხდეს ნუმერაციის ახალი რესურსის გაცემა. ასევე, კომუნიკაციების კომისია სხვა ქვეყნების გამოცდილებისა და საქართველოში ამ მომსახურებების არსებული აბონენტების რაოდენობის გათვალისწინებით, საკმარისად მიიჩნევს, არსებული აბონენტების ახალ რესურსზე მიგრაციის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 1 დეკემბრით.

2. ამგვარი რესურსის ფასი სატელეფონო ნუმერაციის რესურსის საფასურზე გაცილებით დაბალი უნდა იყოს, ვინაიდან M2M/IoT მომსახურების ARPU (ერთ აბონენტზე საშუალო შემოსავალი) გაცილებით დაბალია ჩვეულებრივი მობილური მომსახურების მიმღები აბონენტების საშუალო შემოსავალზე, რასაც ასევე მოწმობს თქვენს მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტი.

მსოფლიოში არსებული ტენდენციები ცხადყოფს, რომ ინტერნეტ მომსახურებების ხელმისაწვდომობის ზრდა, 5G ტექნოლოგიის დანერგვა და ტექნოლოგიური პროგრესი განავითარებს M2M/IoT მომსახურებებს და ცვლის ამ მომსახურებების მაჩვენებლებს იმგვარად, რომ ამჟამად არსებული მონაცემებით არ არის შესაძლებელი განისაზღვროს თუ რამდენად დაბალი იქნება ამ მომსახურებების აბონენტებისგან მიღებული საშუალო შემოსავალი თვეში (ARPU). სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ჯერ კიდევ არაერთ ქვეყანაში ამ რესურსისთვის მოქმედი ფასი არის იგივე, რაც მობილური მომსახურებების ნომრებისთვის.

შესაბამისად, კომისია არ ეთანხმება სს „სილქნეტის“ მიერ დაფიქსირებულ პოზიციას M2M/IoT მომსახურებებისთვის გამოყოფილ ნუმერაციის რესურსზე დაადგინოს უფრო დაბალი საფასური, ვიდრე ეს არის განსაზღვრული ტრადიციული მობილური მომსახურებებისთვის გამოყენებული ნუმერაციის რესურსისთვის.

მოქმედი მდგომარეობით M2M მომსახურებისთვის ოპერატორები იყენებენ მობილური ინდექსის ნომრებს. მათთვის ერთადერთი რაც იცვლება არის ინდექსი. აქამდე კომპანიებს არ დაუყენებიათ აღნიშნული საკითხი, უფრო მეტიც, კომპანიებს M2M-ისთვის არ აქვთ დადგენილი ცალკე ტარიფი და ემსახურებიან იგივე პირობებით, რაც დღეს ბაზარზე აქვთ შეთავაზებული ტრადიციული მობილური მომსახურების აბონენტებისთვის. ასევე, კომპანიების მხრიდან არ გვაქვს დაზუსტებული და განცალკევებული მონაცემები, რასაც აგენერირებს M2M მომსახურებები. შესაბამისად ამ ეტაპზე კომისია ფასის ცვლილებას არ განიხილავს. მიგრაციის შემდეგ, როდესაც შესაძლებელი იქნება ამ ბაზრის ანალიზი, შეიძლება აღნიშნული საკითხის განხილვა.

3. M2M/IoT მომსახურებისათვის განკუთვნილი ნუმერაციის რესურსის გაცემა უნდა მოხდეს მხოლოდ ავტორიზებულ პირებზე;

M2M/IoT მომსახურებისათვის განკუთვნილი ნუმერაციის რესურსის გაცემა არაავტორიზებულ პირებზე კომუნიკაციების კომისიის მიერ არ განიხილება.

4. დოკუმენტში არსად არ არის ნახსენები და განმარტებული დაეკისრება თუ არა რაიმე ვალდებულება ავტორიზებულ პირს მომხმარებლების მიერ გამოყენებული M2M/IoT და ე.წ. სატელეფონო-სააბონენტო ნუმერაციის რესურსის მიზნობრიობის კონტროლის კუთხით. კერძოდ, უნდა გააკონტროლოს თუ არა ავტორიზებულმა პირმა, მაგალითად, ე. წ. IoT მომსახურებისათვის აბონენტები ნუმერაციის რომელ რესურსს გამოიყენებენ და თუ ამგვარი ვალდებულება დაეკისრებათ ოპერატორებს, კომისიის აზრით, როგორ უნდა მოხდეს აღნიშნულის ტექნიკური განხორციელება და სამართლებრივი უზრუნველყოფა.

ავტორიზებული პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლება ვალდებულია იხელმძღვანელოს ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის, „საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ნოემბრის N355 დადგენილებით, „ნუმერაციის რესურსის გაცემის, გამოყენებისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ კომისიის 2012 წლის 21 თებერვლის N2 დადგენილებითა და კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, ასევე კომისიის 2006 წლის 17 მარტის N3 დადგენილებით „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ და მისთვის მინიჭებული ნუმერაციის რესურსი გამოიყენოს დანიშნულებისამებრ. ეს ვალდებულება ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტების და კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად ვრცელდება ყველა ტიპის ნუმერაციის რესურსზე, მათ შორის M2M/IoT-ისთვის გამოყოფილ რესურსზე.

ასევე, ავტორიზებულ პირსა და მომხმარებელს შორის მომსახურებების (მათ შორის M2M/IoT მომსახურების) მიწოდებაზე გაფორმებული ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს მხარეთა ვალდებულებებსა და უფლებებს, მათ შორის მომხმარებლის ვალდებულებას დანიშნულებისამებრ გამოიყენოს ნუმერაციის რესურსი, რაც უნდა გააკონტროლდეს ავტორიზებული პირის მიერ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ავტორიზებულმა პირმა ნუმერაციის რესურსის არამიზნობრივ გამოყენებაზე უნდა მოახდინოს რეაგირება კანონის შესაბამისად.

რაც შეეხება ტექნიკური საშუალებებს, კომუნიკაციების კომისიას მიაჩნია, რომ ავტორიზებული პირების მიერ შესაბამისი საშუალებებით ხდება მათთვის

მინიჭებული ნუმერაციის რესურსის დანიშნულებისამებრ გამოყენების მონიტორინგი და კონტროლი, რაც ასევე უნდა განხორციელდეს M2M/IoT მომსახურებებისთვის გამოყოფილი რესურსისთვის. კომუნიკაციების კომისია არ შეზღუდავს მათ ქმედებებს რაიმე სახით, ოპერატორებს შეუძლიათ მათთვის სასურველი/მისაღები მეთოდებით უზრუნველყონ კონტროლი.